

დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში

თანამდებობრივი ინსტრუქცია

ზოგადი დებულებანი ზოგადი დებულებანი ზოგადი დებულებანი:

1. დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში უშუალოდ დაკავშირებულია მომავლის სკოლის ბალანსზე აღრიცხული მატერიალური ფასეულობის (ქონების) შენახვასთან, დაცვასთან და გამოყენებასთან.
2. იგი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ ინსტრუქციით; დირექტორის მიერ მომავლის სკოლის ტერიტორიაზე სამოქმედოდ გამოცემული ბრძანებით, და მითითებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.
3. დირექტორის მოადგილეს სამეურნეო დარგში თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მომავლის სკოლის დირექტორი.
4. დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე.
5. მისი სახელფასო სარგო განისაზღვრება ხელშეკრულებით.

უფლებები და მოვალეობები: უფლებები და მოვალეობები:

1. სიფრთხილით მოეპყროს, შეინახოს სკოლის მიერ მასზე გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს და მიიღოს ზომები ზიანის აღმოსაფხვრელად;
2. თავისდროულად აცნობოს მომავლის სკოლის ამინისტრაციას ყველა ვითარებაზე, რომელიც ემუქრება მასზე მინდობილი მატერიალური ფასეულობების შენახვის უზრუნველყოფას;
3. აწარმოოს აღრიცხვა, შეადგინოს და დადგენილი წესით წარუდგინოს სასაქონლო-ფულადი და სხვა ანგარიშები მასზე მინდობილი მატერიალური ფასეულობების მოძრაობაზე და ნაშთზე;

4. მიიღოს მონაწილეობა მასზედ მინდობილი მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციაში.

დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში ვალდებულია: დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში ვალდებულია:

1. მუშაკის მიზეზით, მასზე მინდობილ მატერიალურ ფასელობათა დაცულობის უგულებელყოფის შემთხვევაში, მომავლის სკოლაზე მიყენებული ზარალის ოდენობა ანაზღაუროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. მუშაკს ეხსნება მატერიალური პასუხისმგებლობა, თუ ზიანი გამოწვეულია არა მისი ბრალეულობით.

დასკვნითი დებულება

1. ინსტრუქცია ამოქმედდეს მისი დამტკიცების დღიდან.
2. დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგის თანამდებობრივ ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მომავლის სკოლის დირექტორის ბრძანებით.